ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
Khashuri Municipality
Khashuri Municipal Government

№ 227
10. 02. 2015 წ.

ა(ა)იპ „ხაშურსერვისი"-ს დირექტორს
ბატონ ნუგზარ ცხოვრებაძეს

ბატონო ნუგზარ,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე წლის 5 თებერვალს შემოსული თქვენი N20 წერილის პასუხად, სადაც აღნიშნავთ, რომ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით და მოსალოდნელი დიდთოვლობისას ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მისასვლელი და შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდის მიზნით 2015 წლის 22 იანვარს გამოცხადებულ NSPA150002007, NSPA150002015, NSPA150002019, NSPA150002024, NSPA150002027, NSPA150002029, NSPA150002031, NSPA150002033, NSPA150002036, NSPA150002042 და 2015 წლის 30 იანვარს გამოცხადებულ NSPA150002979, NSPA150002980, NSPA150002981, NSPA150002983, NSPA150002984, NSPA150002985, NSPA150002986, NSPA150002990, NSPA150002993, NSPA150002994 ტენდერებს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა" და ითხოვთ ნებართვას შესაბამის მიმწოდებელთან მომსახურების შესყიდვის განხორციელებას, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვით.

გაცნობებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანახმაა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვით გააფორმოთ ხელშეკრულება ტენდერით გამოცხადებული პირობების გათვალისწინებით.

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნულის შესახებ გთხოვთ აცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

პატივისცემით,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლი
გიორგი გურასპაშვილი

საქართველო, 5700, ქ.ხაშური, ტბილისის ქ.2, IV სართული Tel: + 995 368 24 21 35, +995 368 24 21 12; Fax: + 995 368 24 30 60
E-mail: s_municipality@yahoo.com